

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

ვანის ქვაბების გუმბათოვანი ეკლესიის არქიტექტურის წინასაპროექტო შეფასების მომსახურების შესყიდვის კონკურსის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი #2

ქ. თბილისი

02.11.2011წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ნიკოლოზ ვაჩიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - გენერალური დირექტორი;
პაატა გაფრინდაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსი;
ნიკოლოზ ანთიძე - საკონკურსო კომისიის წევრი - იურიდიული სამსახურის უფროსი;
გიორგი ნაკაშიძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;
ქრისტინე დარჩია - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გუგა გოგაძე - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი - ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდნენ - შვებულების გამო:

გიგლა ჭანუყვაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ნოზაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გიორგი მისრიაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ძველთა ატრიბუციისა და მონიტორინგის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ ვანის ქვაბების გუმბათოვანი ეკლესიის არქიტექტურის წინასაპროექტო შეფასების მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2011 წლის 6 ოქტომბერს გამოცხადებული #165 კონკურსის შედეგების განხილვა





კომისიამ მოისმინა:

საკონკურსო კომისიის წევრის, გიორგი ნაკაშიძის გამოსვლა, რომელმაც გააცნო კომისიის წევრებს კონკურსის შედეგები, რომლის თანახმად საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 2011 წლის 20 ოქტომბერს. აღნიშნული თარიღისათვის საკონკურსო წინადადება არ წარმოუდგენია არცერთ კონკურსანტს. შესაბამისად კონკურსი არ შედგა.
საკონკურსო კომისიის წევრები დაეთანხმნენ ზემოაღნიშნულს.

კომისიამ დაადგინა:

1. ვანის ქვაბების გუმბათოვანი ეკლესიის არქიტექტურის წინასაპროექტო შეფასების მომსახურების კონკურსი არ შედგა;

2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი - კონკურსი არ შედგა.

კომისიის თავმჯდომარე		/ნიკოლოზ ვაჩეიშვილი/
კომისიის წევრი		/პაატა გაფრინდაშვილი/
კომისიის წევრი		/ნიკოლოზ ანთიძე/
კომისიის წევრი	გ.ნაცაშვილი	/გიორგი ნაკაშიძე/
კომისიის წევრი	ა.ძ.	/ქრისტინე დარჩია/
კომისიის აპარატის წევრი		/გუგა გოგაძე/